

საქართველოს კანონი ფოსტის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი ადგენს ფოსტის სფეროში საქმიანობის ძირითად პრინციპებს და სამართლებრივ საფუძვლებს, საფოსტო მომსახურების სახეობებს, საფოსტო მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულებას, დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვის წესს, ფოსტის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და საქართველოს კომუნიკაციების ევროვნული კომისიის უფლებამოსილებებს, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკასა და საერთაშორისო თანამშრომლობას ფოსტის სფეროში.

მუხლი 2. მიზნები და პრინციპები

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე საიმედო და ეფექტიანი საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა, საფოსტო მომსახურების გაწევისას აუცილებელი მოთხოვნების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

2. ფოსტის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპებია:

- ა) მომხმარებელთა უზრუნველყოფა მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი საფოსტო მომსახურებებით;
- ბ) პირთა თანასწორუფლებიანობა ფოსტის სფეროში საქმიანობისას;
- გ) მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- დ) საფოსტო ქსელების და საშუალებების, საფოსტო მომსახურებების სრულყოფის და განვითარების ხელშეწყობა;
- ე) უნივერსალური საფოსტო მომსახურების საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ვ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების მიწოდების და დანიშნული საფოსტო ოპერატორის საფოსტო ქსელის ორგანიზების უზრუნველყოფა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;
- ზ) ქვეყნის ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფა მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- თ) საფოსტო ქსელის მეშვეობით გაცვლილი მონაცემებისა და საფოსტო გზავნილის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვა;
- ი) უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტიანი და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფა;

- კ) მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად საფოსტო ოპერატორის დანიშნვა დანიშნულ საფოსტო ოპერატორად;
- ლ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ განხორციელებული საფოსტო მომსახურების რეგულირება და მონიტორინგი;
- მ) საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების განსაზღვრა;
- ნ) საფოსტო საშუალებებისა და მომსახურებების მართვა საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის დროს;
- ო) საფოსტო საგადახდო ნიშნების გამოცემა;
- პ) კონკურენციის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ჟ) ფოსტის სფეროს საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა;
- რ) საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობა გლობალურ საფოსტო სივრცეში და ფოსტის სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ფოსტის სფეროში

ფოსტის სფეროში საქმიანობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტები, ეს კანონი, სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- ა) ადგილობრივი საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის მიღება, დახარისხება, ტრანსპორტირება და ჩაბარება ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;
- ბ) ადრესატი - მომხმარებელი, რომელზეც დამისამართებულია საფოსტო გზავნილი;
- გ) ამანათი - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის შიგთავსი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი (პროდუქტი), კომერციული ღირებულების ან მის გარეშე, წერილობითი კორესპონდენციის გარდა, რომლის წონაც არ აღემატება 31,5 კგ-ს.
- დ) აუცილებელი მოთხოვნები - ზოგადი, არაეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, რომლებიც ეხება საფოსტო გზავნილის და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცვას, საფრთხის შემცველი ნივთის ტრანსპორტირებისას საფოსტო ქსელის უსაფრთხოებას, თანამშრომელთა შრომითი პირობების დაცვას, გარემოს დაცვის მოთხოვნების უზრუნველყოფას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ე) „გამგზავნი – მომხმარებელი, რომელიც დებს ხელშეკრულებას საფოსტო გზავნილის გაგზავნის თაობაზე“
- ვ) გზავნილი უსინათლოთათვის - საფოსტო გზავნილი, რომელიც დაწერილია სეკოგრაფიული მეთოდით, ამოტვიფრულია სეკოგრაფიული ნიშნებით, აუდიო ჩანაწერი, ან ტიპლოტექნიკური საშუალებით ჩაწერილი გზავნილი;

ზ) დაზღვეული საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომელიც ადრესატს ბარდება ხელმოწერით და რომელიც დაზღვეულია დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების და/ან განადგურებისგან, გამგზავნის მიერ დეკლარირებული ღირებულებით;

თ) დანიშნული საფოსტო ოპერატორი – სამინისტროს მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელების მიზნით დანიშნული საფოსტო ოპერატორი;

ი) დაუძლეველი ძალა - მოვლენა (გარემოება), რომელიც არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვ.) და შესაბამისად, გამორიცხავს მის შესაძლებლობას შეასრულოს სავალდებულო მოქმედება. დაუძლეველი ძალის დროს არ არსებობს ბრალი;

კ) დიპლომატიური ფოსტა - საფოსტო გზავნილი, რომლებიც აღიარებულია დიპლომატიურ ფოსტად „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის შესაბამისად;

ლ) ექსპრეს მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს საფოსტო გზავნილის მიღებიდან მისი ჩაბარების სისწრაფეს გამგზავნს და საფოსტო ოპერატორს შორის დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპრეს მომსახურება უნდა მოიცავდეს ყველა ან ერთზე მეტ შემდეგ მახასიათებელს:

ლ.ა) საფოსტო გზავნილის მიღებას გამგზავნის ადგილსამყოფელზე;

ლ.ბ) გამგზავნისა და საფოსტო ოპერატორს შორის შეთანხმებულ ვადებში საფოსტო გზავნილის ჩაბარებას;

ლ.გ) ადრესატისთვის გზავნილის პირადად ჩაბარებას;

ლ.დ) მომხმარებლის მიერ გზავნილის ჩაბარების ადგილის და მისამართის ცვლილების შესაძლებლობას ტრანსპორტირების პერიოდში;

ლ.ე) გამგზავნისთვის გზავნილის ჩაბარების დადასტურების შესაძლებლობას;

ლ.ვ) გამგზავნის მიერ გზავნილზე ინდივიდუალური მონიტორინგის და გადაადგილების კონტროლის შესაძლებლობას ტრანსპორტირებისას და ჩაბარების დროს;

მ) კომისია - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ნ) მარტივი საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის მიღება საფოსტო ოპერატორის მიერ გამგზავნისგან ხორციელდება ქვითრის გარეშე და რომელიც ბარდება ადრესატს ხელმოწერის გარეშე;

ო) მისამართი - საქართველოს საფოსტო წესებით განსაზღვრული ადგილმებარეობის მონაცემთა ერთობლიობა;

პ) მიღება - საფოსტო ოპერატორის მიერ წვდომის ადგილზე საფოსტო გზავნილის მიღება;

ჟ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც გამგზავნის ან ადრესატის სახით სარგებლობს საფოსტო მომსახურებებით;

რ) მსოფლიო საფოსტო კავშირი - ფოსტის სფეროში გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაცია;

ს) რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომლის დაკარგვასთან, მოპარვასთან, დაზიანებასთან და/ან განადგურებასთან დაკავშირებული რისკები იზღვევა საფოსტო ოპერატორის მიერ დადგენილი ტარიფით. გამგზავნის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გზავნილი ადრესატს ბარდება ხელმოწერით;

ტ) საბოლოო ფორმა - საფოსტო ოპერატორების მიერ განსაზღვრული საფოსტო გზავნილის ფორმა, გარდა დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას მიკუთვნებული საფოსტო გზავნილის საბოლოო ფორმისა, რომელიც განისაზღვრება საქართველოს საფოსტო წესებით.

უ) საერთაშორისო საპასუხო კუპონი - მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ გამოცემული კუპონი, რომელიც დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ იცვლება საფოსტო საგადახდო ეროვნულ ნიშნებზე, ყველაზე მცირე წონის მარტივი საერთაშორისო წერილობითი კორესპოდენციის გზავნილის გაგზავნის ღირებულების ასანაზღაურებლად;

ფ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრი - საქართველოსა და სხვა ქვეყნის დანიშნულ საფოსტო ოპერატორებს შორის მათი საერთაშორისო საფოსტო შემომავალი, გამავალი და ტრანზიტული გზავნილების გაცვლის ადგილი;

ქ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომელიც იგზავნება სხვა სახელმწიფოში ან მიიღება სხვა სახელმწიფოდან, ან სხვა სახელმწიფოს საფოსტო გზავნილი, რომელიც ტრანზიტულად გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზე;

ღ) საკურიერო მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც ორიენტირებულია საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე დაჩქარებულად და პრინციპით „გამგზავნის კარიდან ადრესატის კარამდე“. ამ მომსახურების განხორციელებისას კურიერმა შესაძლებელია გამოიყენოს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის როგორც საკუთარი, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტი. გზავნილი ტრანსპორტირების პროცესში არასდროს რჩება ფიზიკური პირის (კურიერის) უშუალო მეთვალყურეობის გარეშე. საკურიერო მომსახურება მოიცავს დაჩქარებულად ჩაბარებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ჩაბარებას მოთხოვნამდე ან დროის განსაზღვრით ჩაბარებას;

ყ) სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შ) საფოსტო გზავნილი - საბოლოო ფორმის დამისამართებული გზავნილი, რომელიც იგზავნება საფოსტო ოპერატორის მიერ (წერილობითი კორესპოდენცია, ამანათი, გზავნილი უსინათლოთათვის, წიგნები, კატალოგები და პერიოდული გამოცემები);

ჩ) საფოსტო ინდექსი - გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისთვის გამოხატული ციფრების და/ან ასოების სერიისგან შემდგარი სისტემა;

ც) საფოსტო მომსახურება - მომსახურება, რომელიც მოიცავს საფოსტო გზავნილების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას. საფოსტო მომსახურებად არ ჩაითვლება საფოსტო გზავნილების მხოლოდ ტრანსპორტირება;

დ) საფოსტო ოპერატორი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საფოსტო მომსახურებას;

წ) საფოსტო ოფისი - წვდომის ადგილი, რომლის ოპერირება ხორციელდება საფოსტო ოპერატორის მიერ და სადაც მომხმარებელი იღებს საფოსტო მომსახურებას. საფოსტო ოფისი შესაძლოა იყოს სტაციონარული ან მოძრავი;

ჭ) საფოსტო საგადახდო ნიშანი - საფოსტო მარკა, მარკირებული კონვერტი, მარკირებული საფოსტო ბარათი, ფრანკირების და მარკირების დანადგარებით დატანილი ნიშანი ან სხვა აღნიშვნები, რომელიც ადასტურებს საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდას დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის;

ხ) საფოსტო საშუალებები - ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საფოსტო გზავნილის მიღების, დახარისხების, ტრანსპორტირების და ჩაბარების მიზნით;

ჯ) საფოსტო ფულადი გზავნილი - გზავნილი, რომელიც განისაზღვრება ამ კანონით მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად და რომლის მიღება, დახარისხება, გაგზავნა და ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება დანიშნული საფოსტო ოპერატორების მიერ და რომელიც ადრესატს ბარდება ნაღდი ფულით ან განთავსდება მის საბანკო ანგარიშზე;

ჰ) საფოსტო ქსელი - საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყველა სახის სისტემა, საფოსტო ოფისები, საფოსტო მომსახურების მარშრუტები და საფოსტო საშუალებები;

ჰ¹) საფოსტო ყუთი - ჩაკეტვის ფუნქციის მქონე სპეციალური ყუთი, რომელიც განკუთვნილია გამგზავნის მიერ მარტივი საფოსტო გზავნილის ჩასაშვებად;

ჰ²) უნივერსალური საფოსტო მომსახურება - დადგენილი ხარისხის საფოსტო მომსახურება, რომელიც დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ მუდმივად ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა მომხმარებლისთვის და ხელმისაწვდომ ფასად. უნივერსალური საფოსტო მომსახურება არ მოიცავს საკურიერო და ექსპრესს მომსახურებებს;

ჰ³) უწყებრივი რეესტრი - კომისიის მიერ საფოსტო ოპერატორის მარტივი რეგისტრაციისთვის და მის შესახებ ინფორმაციის შესანახად განკუთვნილი რეესტრი;

ჰ⁴) ფრანკირების და მარკირების დანადგარი - მექანიკური მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საფოსტო გზავნილებზე საფოსტო საგადახდო ნიშნის დატანისთვის, რითიც დასტურდება საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდა;

ჰ⁵) შენახვის ადგილი - საფოსტო ოპერატორის ფიზიკური ობიექტი, სადაც შესაძლებელია ადრესატისათვის ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის დროებით შენახვა;

36) ჩაბარება - ჩაბარების ადგილზე ადრესატისთვის საფოსტო გზავნილის გადაცემა;

37) ჩაბარება მოთხოვნამდე - საფოსტო მომსახურების სახეობა, როდესაც გზავნილი დამისამართებულია საფოსტო ოფისის მისამართზე და საფოსტო ოფისში ინახება განსაზღვრული ვადით ადრესატის მოთხოვნამდე. გზავნილის შენახვის ვადები განიზღვრება საქართველოს საფოსტო წესებით;

38) ჩაბარების ადგილი - ადგილი, სადაც ხორციელდება საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება;

39) ჩაბარების ყუთი - შენობა-ნაგებობებში, საფოსტო მომსახურების ადგილებში არსებული ჩაკეტვის ფუნქციის მქონე სპეციალური ყუთი, რომელშიც განთავსდება საფოსტო გზავნილი. ჩაბარების ყუთი შეიძლება იყოს მრავალმიმღებიანიც;

310) წერილობითი კორესპონდენცია - წერილობითი ფორმის საფოსტო გზავნილის სახეობა, შესრულებული ნებისმიერი ფორმის ფიზიკურ მატარებელზე. წიგნები, კატალოგები და პერიოდული გამოცემები არ განეკუთვნება წერილობით კორესპონდენციას;

311) წვდომის ადგილი - საფოსტო ოპერატორის ფიზიკური ობიექტები, ასევე ნებისმიერ ადგილზე განთავსებული საფოსტო ყუთები, სადაც შესაძლებელია საფოსტო გზავნილის საფოსტო ქსელში მოთავსება;

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ფოსტის სფეროში

1. ფოსტის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება და გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებებიდან.

2. ფოსტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

3. სამინისტრო შეიმუშავებს ფოსტის სფეროში, სტრატეგიებსა და პროგრამებს, რომელსაც სამინისტროს წარდინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. ფოსტის სფეროს დამტკიცებულ სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს სამინისტრო.

5. ფოსტის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხორციელდება საქართველოს კანონის "პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ" შესაბამისად.

6. საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე, მათ შორის ტრანზიტად გადაადგილებულ საფოსტო გზავნილებზე საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. კომისია ფოსტის სფეროში უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელმძღვანელობს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით, მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიებისა და პროგრამების, ამ კანონის და ამ კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. საერთაშორისო თანამშრომლობა ფოსტის სფეროში

1. საერთაშორისო თანამშრომლობა ფოსტის სფეროში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების შესაბამისად.

2. საერთაშორისო საფოსტო ორგანიზაციებში და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას საქართველოს წარმოადგენს სამინისტრო, აგრეთვე კომისია სამინისტროს თანხმობით.

3. ფოსტის სფეროში მოქმედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებებში საქართველოს წარმოადგენს კომისია.

4. დანიშნული საფოსტო ოპერატორი თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების დანიშნულ საფოსტო ოპერატორებთან, ასევე კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს მსოფლიო საფოსტო კავშირთან და სხვა დარგობრივ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

5. საფოსტო გზავნილის გადაადგილების თავისუფლება, მათ შორის საერთაშორისო საფოსტო გზავნილის ტრანზიტულად გადაადგილება დაცულია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, მათ შორის ტრანზიტად გადაადგილებული საფოსტო გზავნილი, ექვემდებარება საბაჟო კონტროლს.

მუხლი 7. აკრძალვები და შეზღუდვები საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

1. დაუშვებელია საფოსტო გზავნილის გაგზავნა, მიღება და ტრანზიტულად გატარება, რომელიც შეიცავს საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შიგთავსს.

2. საერთაშორისო საფოსტო გზავნილებში ასევე იკრძალება ისეთი საგნების, ნივთიერებების ან პროდუქტების მოთავსება, რომლებიც დაუშვებელია დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ შეზღუდვა შესაძლოა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესაბამისად.

4. აკრძალული საგნების შემცველი საფოსტო გზავნილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაკავება და განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საფოსტო ოპერატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა საფოსტო გზავნილის ჩაუბარებლობისთვის და/ან ტრანზიტულად გაუტარებლობისთვის.

5. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებლებს შესაბამისი ვებგვერდების, საფოსტო ოფისების და მომხმარებლებთან კომუნიკაციის სხვა საშუალებების მეშვეობით.

6. საფოსტო ოპერატორი ან მისი თანამშრომელი არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ საბაჟო დეკლარაციაში დაშვებულ უზუსტობაზე ან ცრუ ინფორმაციის წარდგენაზე საბაჟო პროცედურების განხორციელებისას.

7. საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო გზავნილით აკრძალული/შეზღუდული შიგთავსის გაგზავნათვის, მიღებისთვის ან/და ტრანზიტულად გატარებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

თავი II. დიპლომატიური საფოსტო მომსახურება

მუხლი 8. დიპლომატიური საფოსტო მომსახურება

1. სამინისტრო და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთობლივად შეიმუშავენ დიპლომატიური ფოსტის და საკონსულო ვალიზას გადაადგილების წესებს, რასაც სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. დიპლომატიურ საფოსტო მომსახურებას ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განახორციელებს საფოსტო ოპერატორი.

თავი III. საფოსტო ოპერატორების უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 9. ზოგადი უფლებები და ვალდებულებები

1. საფოსტო ოპერატორის უფლებები:

ა) განახორციელოს საფოსტო მომსახურება;

ბ) საფოსტო ოპერატორები, გარდა დანიშნული საფოსტო ოპერატორისა, უფლებამოსილნი არიან ნებისმიერი ტარიფით განახორციელონ საფოსტო მომსახურება, მათ შორის, ამ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურება. ამასთანავე, მათზე არ ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული უნივერსალურ საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ) დავის გადაწყვეტის მექანიზმის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით საფოსტო ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს და მომხმარებელს შესთავაზოს მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება;

დ) კომისიის სამართლებრივი აქტი გაასაჩივროს სასამართლოში;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები;

2. საფოსტო ოპერატორის ვალდებულებებია:

ა) გაიაროს მარტივი რეგისტრაცია კომისიის უწყებრივ რეესტრში;

ბ) დაადგინოს და დაიცვას შესაბამისი სახელმწიკრულებო წესები და პირობები მომხმარებლებთან, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

გ) მომხმარებელს გადაუხადოს კომპენსაცია საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების და/ან განადგურების შემთხვევაში;

დ) შეასრულოს ამ კანონით დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან;

ვ) ითანამშრომლოს სამინისტროსთან საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის დროს;

ზ) დაიცვას საფოსტო გზავნილების შიგთავსის მიმართ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები;

თ) კომისიას წარუდგინოს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაცია;

ი) საფოსტო მომსახურების მიწოდებისას საფოსტო ოპერატორის თანამშრომლის უნიფორმაზე დატანილი უნდა იქნეს საფოსტო ოპერატორის მაიდენტიფიცირებელი ლოგო და/ან სხვა მაიდენტიფიცირებელი გამოსახულება, ასევე მათი საფოსტო გზავნილები უნდა იყოს იდენტიფიცირებადი;

კ) შექმნას საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტიანი შიდა მექანიზმი, მათ შორის საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების, განადგურების და/ან მომსახურების ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევებისთვის;

ლ) კომისიას აცნობოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, საფოსტო მომსახურების სახეობის ცვლილების ან საფოსტო მომსახურების დროებით შეჩერების შესახებ;

მ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები;

3. უნივერსალური საფოსტო მომსახურების მიწოდებისას დანიშნული საფოსტო ოპერატორის ვალდებულებებია:

ა) განახორციელოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება ამ კანონით დადგენილი წესით;

ბ) დაიცვას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები;

გ) გააგზავნოს საფოსტო გზავნილი საბოლოო ფორმით;

დ) გადაიხადოს რეგულირების საფასური;

ე) დანერგოს შემოსავლების, დანახარჯებისა და კაპიტალის განცალკევებულად აღრიცხვის სისტემა. აწარმოოს დანახარჯების განაწილება რეგულირებადი და არარეგულირებადი საქმიანობის სახეების მიხედვით, თვითღირებულების გაანგარიშება და კომისიისათვის წარდგენა“;

ვ) უზრუნველყოს მომსახურების ხარისხი;

ზ) უზრუნველყოს საფოსტო ქსელის ორგანიზება და ოპერირება;

თ) დაიცვას საქართველოს საფოსტო წესები;

ი) შეიმუშაოს საფოსტო ინდექსების სისტემა;

კ) უზრუნველყოს ვებგვერდზე და/ან მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის განკუთვნილ სხვა საჯარო საინფორმაციო საშუალებებით თავის შესახებ, საკუთარი საფოსტო მომსახურების და მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო პირობების შესახებ, აგრეთვე საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების შესახებ, უნივერსალურ საფოსტო მომსახურებაზე საჩივრების რაოდენობის და მათი გადაწყვეტის შესახებ ინფორმაციის განთავსება;

ლ) ადგილობრივ საფოსტო გზავნილთან დაკავშირებული საჩივარი განიხილოს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო, საერთაშორისო საფოსტო გზავნილთან დაკავშირებული საჩივარი - 45 კალენდარული დღის ვადაში;

მ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის მოამზადოს დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და შედეგები გამოაქვეყნოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფები არ ზღუდავს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს მომხმარებელთან ტარიფების შესახებ დადოს ინდივიდუალური ხელშეკრულება.

თავი IV. უნივერსალური საფოსტო მომსახურება

მუხლი 10. უნივერსალური საფოსტო მომსახურება

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.
2. უნივერსალური საფოსტო მომსახურება მოიცავს:
 - ა) 2 კილოგრამამდე წონის ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი და გამავალი მარტივი, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილობითი კორესპონდენციის მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
 - ბ) 20 კილოგრამამდე წონის საერთაშორისო შემომავალი და გამავალი, რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
 - გ) 10 კილოგრამამდე წონის ადგილობრივი, რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას;
 - დ) 7 კილოგრამამდე წონის ადგილობრივი და საერთაშორისო გზავნილების მიღებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და ჩაბარებას უსინათლოთათვის;
3. უნივერსალური საფოსტო მომსახურება არ მოიცავს საკურიერო და ექსპრესს მომსახურებებს.
4. უნივერსალური საფოსტო მომსახურება შესაძლოა მიწოდებულ იქნას ერთი ან ერთზე მეტი დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ მომსახურების სახეობის და/ან გეოგრაფიული დაყოფის გათვალისწინებით;
5. უნივერსალური საფოსტო მომსახურება მიწოდებულ უნდა იქნას ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე;
6. ერთსა და იმავე პირობებში მყოფმა მომხმარებლებმა უნდა მიიღონ იდენტური უნივერსალური საფოსტო მომსახურება;
7. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ამ კანონით დადგენილი მომსახურების ხარისხი.
8. სამინისტრო საომარი ან საგანგებო მდგომარეობისას უფლებამოსილია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს დაუწესოს განსხვავებული რეჟიმი უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულების განხორციელებისათვის.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევები კომისიას ეცნობება დაუყოვნებლივ.

მუხლი 11. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფები

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ხარჯზე ორიენტირებულობა;
- ბ) ერთიანობა;
- გ) არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა;
- დ) ხელმისაწვდომობა;

2. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიებს.

3. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფებს დანიშნული საფოსტო ოპერატორი განსაზღვრავს კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და პროცედურებს, რომელიც მოიცავს დანიშნული ოპერატორის მიერ ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების კომისიაში წარმოდგენის პროცედურებსა და მისი დამტკიცების ვადებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების წესისა და პროცედურის შესაბამისად.

5. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს შეუძლია მოითხოვოს ტარიფების გადახედვა სათანადოდ დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს კომისიას. კომისია ამოწმებს წარმოდგენილი ტარიფების შესაბამისობას მეთოდოლოგიასთან და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განცხადებით მოთხოვნილი ტარიფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების წესისა და პროცედურის შესაბამისად.

6. კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებით დამტკიცებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გადახედვა დანიშნული ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე დაუშვებელია ტარიფების დამტკიცებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

7. კომისიის მიერ დასაბუთებული ექვსი საფუძველზე, რომ უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის დამტკიცებული ტარიფები შესაბამისობაში არ არის მეთოდოლოგიასთან, კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადახედოს ტარიფებს, რაზედაც მან უნდა შეატყობინოს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს. კომისია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს განუსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადას ტარიფების შესაბამისობაში მოსაყვანად და კომისიისთვის დასამტკიცებლად წარსადგენად. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, კომისია დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და სხვა ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით, მეთოდოლოგიის საფუძველზე თავად ადგენს და ამტკიცებს შესაბამის ტარიფს.

8. დანიშნული საფოსტო ოპერატორი კომისიას უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების ჯეროვნად გადახედვის მიზნით წარუდგენს ფინანსურ ანგარიშგებას ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც აუცილებელია უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გადასახედად.

9. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის დამტკიცების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში. კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 12. დანიშნული საფოსტო ოპერატორისათვის ხარჯების ანაზღაურების წესი

1. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ განხორციელებული უნივერსალური საფოსტო მომსახურებისას წარმოშობილი ხარჯი, თუკი იგი წარმოადგენს თვითღირებულებას და აღემატება ასეთი მომსახურებისას მიღებულ შემოსავალს და ამასთან არის არასამართლიანი ფინანსური ტვირთი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ოდენობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველწლიურად ადგენს კომისია და აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯი, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და კომისიის მიერ განსაზღვრული საფოსტო ოპერატორების მიერ, რომლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

4. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.

5. საფოსტო ოპერატორების მიერ, დანიშნული საფოსტო ოპერატორისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული უნივერსალური საფოსტო მომსახურებისას წარმოშობილი ხარჯის ანაზღაურების ოდენობას, წესსა და პირობებს ადგენს კომისია.

თავი V. დანიშნული საფოსტო ოპერატორი

მუხლი 13. დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვა

1. სამინისტრო ღია კონკურსის საფუძველზე ნიშნავს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს 10 წლის ვადით.

2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ შესაძლოა დანიშნოს ერთზე მეტი დანიშნული ოპერატორი.

3. დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვა უნდა მოხდეს სამართლიანი და გამჭვირვალე ღია კონკურსის საფუძველზე, რომელსაც აცხადებს სამინისტრო. ღია კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს, ასევე პრეტენდენტის შერჩევის კრიტერიუმებს სამინისტროს წარდგენით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. პრეტენდენტის შერჩევის კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს სულ მცირე:

ა) პრეტენდენტის მიერ საქართველოს მთელი ტერიტორიის ან შესაბამისი გეოგრაფიული ერთეულ(ებ)ის დაფარვის და/ან მომსახურების სახეობის (თუ ამგვარი მოთხოვნა არსებობს), ხარისხს;

ბ) პრეტენდენტის ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს;

გ) პრეტენდენტის შესაძლებლობას უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის უზრუნველყოს ხელმისაწვდომი და ერთიანი, ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

4. ღია კონკურსის შედეგად, სამინისტრო შეარჩევს გამარჯვებულ პრეტენდენტს და დანიშნავს მას დანიშნულ საფოსტო ოპერატორად.

5. თუ წარმოდგენილი არ არის განაცხადი კონკურსში მონაწილეობისთვის, ან თუ პრეტენდენტ(ებ)ი ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს, სამინისტრო უფლებამოსილია, 10 წლით დანიშნოს არსებული დანიშნული ოპერატორი.

6. დანიშნული საფოსტო ოპერატორის სახელწოდება სამინისტრომ უნდა აცნობოს მსოფლიო საფოსტო კავშირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დანიშნული საფოსტო ოპერატორი უფლებამოსილია საერთაშორისო საფოსტო გზავნილებთან მიმართებაში ისარგებლოს უფლებებით და შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.

8. ერთზე მეტი დანიშნული საფოსტო ოპერატორის არსებობის შემთხვევაში, დანიშნული საფოსტო ოპერატორ(ებ)ი უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას განახორციელებენ მხოლოდ მათთვის ღია კონკურსით მინიჭებული შესაბამის გეოგრაფიული ერთეულ(ებ)ის და/ან მომსახურების სახეობის მიხედვით.

9. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს უუქმდება ვალდებულება განახორციელოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება იმ გეოგრაფიული ერთეულ(ებ)ში, სადაც ამ მომსახურებას სრულად ახორციელებს სხვა დანიშნული ოპერატორი და/ან შეასრულოს საფოსტო მომსახურების ის სახე, რომელსაც ასრულებს სხვა დანიშნული საფოსტო ოპერატორი.

10. დანიშნული საფოსტო ოპერატორის საფოსტო გზავნილის ზოგადი მახასიათებლები, სახეობები და კატეგორიები, წონა და ზომები განისაზღვრება საქართველოს საფოსტო წესებით.

მუხლი 14. მომსახურების ხარისხი

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების შემდეგი ხარისხი:

ა) უნივერსალური საფოსტო მომსახურება გაწეული იქნას კვირაში სულ მცირე 5 სამუშაო დღის სიხშირით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული მაღალმთიანი რეგიონებისა, სადაც დასაშვებია კვირაში სულ მცირე ორდღიანი სიხშირე.

ბ) მომსახურების ბაზრის ანალიზის საფუძველზე კომისია უფლებამოსილია დააწესოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისგან განსხვავებული პირობები, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.

გ) ადგილობრივი საფოსტო გზავნილები, რომლებიც წვდომის ადგილებში მიღებულია სამუშაო დღის დასრულებამდე, წლის განმავლობაში არანაკლებ 85% გზავნილებისა ჩაბარებული უნდა იქნას მიღების მომდევნო დღიდან 3 სამუშაო დღეში, გზავნილების 97% - 5 სამუშაო დღეში;

დ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრში მიღებული შემომავალი საფოსტო გზავნილების ჩაბარების ვადის მიმართ მოქმედებს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ინფორმაცია სამუშაო საათებისა და სამუშაო დღეების შესახებ საჯაროდ განთავსდება საფოსტო ოფისებში და ვებგვერდზე.

3. საფოსტო ყუთებზე განთავსებული უნდა იყოს დღის განმავლობაში საფოსტო გზავნილების საბოლოო შეგროვების დრო.

მუხლი 15. ჩაბარება დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ

1. საფოსტო გზავნილის ჩაბარება უნდა განხორციელდეს ჩაბარების ადგილზე საფოსტო ყუთში განთავსებით ან ადრესატისთვის პირადად გადაცემის გზით, ან ჩაბარებით მოთხოვნამდე.

2. ჩაბარების ყუთში ჩაბარების შემთხვევაში, ყუთი ისე უნდა იყოს განთავსებული რომ საფოსტო ოპერატორს შეეძლოს მასთან თავისუფალი წვდომა და საფოსტო გზავნილები დაცული იყოს მესამე პირების წვდომისაგან.

3. მომხმარებლები უფლებამოსილი არიან თავიანთი სახსრებით განათავსონ ჩაბარების ყუთები ან მრავალმიმღებიანი ჩაბარების ყუთები, რომლებიც მათ საკუთრებას წარმოადგენს.

მუხლი 16. საფოსტო ქსელის ორგანიზება და ოპერირება

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფისთვის ქმნის საფოსტო ოფისების, გზავნილების დახარისხებისა და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების

გაცვლის ცენტრების და საფოსტო მომსახურებების მარშრუტის შესაბამის ქსელს, ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

2. დანიშნული საფოსტო ოპერატორი სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს სამინისტრო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს, რომელსაც აწვდის მსოფლიო საფოსტო კავშირს.

3. მშენებარე საცხოვრებელ ობიექტებში, მშენებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის/ბინისთვის ჩაბარების ყუთის დაყენება.

მუხლი 17. საფოსტო ფულადი გზავნილი

დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, გაგზავნა და ჩაბარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

მუხლი 18. საფოსტო ინდექსები

1. საფოსტო ინდექსების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს დასახლებული პუნქტების გეოგრაფიულ მდებარეობას.

2. საფოსტო ინდექსების სისტემას შეიმუშავებს და ამტკიცებს დანიშნული საფოსტო ოპერატორი.

3. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საფოსტო ინდექსების სისტემის საფოსტო ოპერაციების მიზნით გამოყენება.

4. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა საფოსტო ინდექსები უნდა გამოაქვეყნოს საფოსტო ოფისებში და თავის ვებგვერდზე.

5. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა საფოსტო ინდექსების ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა განათავსოს საფოსტო ოფისებში და თავის ვებგვერდზე აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

მუხლი 19. შემოსავლების, დანახარჯებისა და კაპიტალის განცალკევებულად აღრიცხვის სისტემა

1. კომისია შეიმუშავებს შემოსავლების, დანახარჯებისა და კაპიტალის განცალკევებულად აღრიცხვის და უნივერსალური მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგიას, კომისიისთვის მათი წარდგენის ვადებს და პროცედურას;

2. დანიშნული საფოსტო ოპერატორი, ობიექტურად დასაბუთებული აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე, კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო მომსახურების, სხვა საფოსტო და არასაფოსტო მომსახურებების შემოსავლების, დანახარჯებისა და კაპიტალის განცალკევებულად აღრიცხვის სისტემის დანერგვას მის შიდა საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში, რომლის საშუალებით აღრიცხება უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება, ამ საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი;
3. კომისიის მიერ მოწმდება დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ დანერგილი განცალკევებული აღრიცხვის სისტემის შესაბამისობა მეთოდოლოგიასთან;
4. დანიშნული საფოსტო ოპერატორი კომისიის მიერ დადგენილ ვადებში კომისიას წარუდგენს შემოსავლების, დანახარჯებისა და კაპიტალის განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშგებას, რომელსაც თან უნდა ახლდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება განცალკევებული აღრიცხვის პრინციპებს, ეროვნულ კანონმდებლობასა და სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას წარმოდგენილი ანგარიშის განცალკევებული აღრიცხვის პრინციპებთან, ეროვნულ კანონმდებლობასა და სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებთან. შესაბამისობის შესახებ დანიშნული საფოსტო ოპერატორი აქვეყნებს თავის ვებ გვერდზე.
5. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ წარსადგენი განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგების აუდიტს ატარებს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის გასამრჯელოსაც ანაზღაურებს დანიშნული ოპერატორი.
6. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება არის იმ დანახარჯთა ერთობლიობა, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია და მათი გაწევა აუცილებელია დაკისრებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულების შესასრულებლად. უნივერსალური საფოსტო მომსახურების თვითღირებულება ასახავს დანიშნული საფოსტო ოპერატორის უნივერსალური მომსახურების ვალდებულებებით და უნივერსალური მომსახურების ვალდებულების გარეშე თვითღირებულებას შორის სხვაობას.
7. თვითღირებულების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგების გონივრული უკუგება და ხარჯის ეფექტურობის მაჩვენებლები.

მუხლი 20. საქართველოს საფოსტო წესები

1. სამინისტრო, ნორმატიული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს საფოსტო წესებს, რომელიც ადგენს:
 - ა) საფოსტო გზავნილების მიღებასთან, დახარისხებასთან, ტრანსპორტირებასთან და ჩაბარებასთან დაკავშირებულ პირობებს;

ბ) იმ საფოსტო გზავნილების განკარგვის საკითხს, რომელთა ადრესატისთვის ჩაბარება შეუძლებელია, და/ან რომელთა გამგზავნთან დაბრუნება შეუძლებელია მისამართის უზუსტობის, შეფუთვის დეფექტის, არასათანადო მარკირების, გადაუხდელობის, ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო;

გ) საფოსტო გზავნილების გახსნისა და განადგურების პირობებს;

დ) საფოსტო გზავნილების შენახვისა და ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების საკითხებს;

ე) საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

2. საფოსტო გზავნილი ჩაბარებამდე წარმოადგენს გამგზავნის საკუთრებას.

მუხლი 21. საფოსტო გზავნილის დამისამართებისას გამოსაყენებელი ენები

1. ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე მისამართი დატანილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში, შესაძლებელია აფხაზურ ენაზეც.

2. საერთაშორისო საფოსტო გზავნილზე მისამართი დატანილი უნდა იქნეს საქართველოს საფოსტო წესების შესაბამისად.

მუხლი 22. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ზიანის ანაზღაურება

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანი, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაზღვეული საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში - დაზღვევით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; დაზღვეული საფოსტო გზავნილის დეკლარირებული ღირებულების ზედა ზღვარი დგინდება დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ;

ბ) რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში - მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების ტარიფის არაუმეტეს ორმაგი ოდენობით;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში მიღებული კომპენსაცია არ მოიცავს არაპირდაპირი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში დანიშნულ საფოსტო ოპერატორს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მოპარვის, დაზიანების და განადგურებისთვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იყო საომარი

და/ან საგანგებო მდგომარეობით და/ან დაუძლეველი ძალით და/ან საფოსტო გზავნილის შიგთავსის მახასიათებლებით.

თავი VI. სამინისტროსა და კომისიის ფუნქციები

მუხლი 23. სამინისტროს ფუნქციები:

1. სამინისტროს ფუნქციები ფოსტის სფეროში:

ა) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, სტრატეგიებისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

გ) სამართლებრივი ბაზის შემუშავება და მისი იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

დ) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო ქსელის ფუნქციონირების კოორდინაცია;

ე) კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

ვ) ფოსტის სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ზ) დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის საფოსტო წესების მიღება;

თ) სამართლებრივი აქტების გამოცემა;

ი) საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა ფოსტის სფეროში, საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში და საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან ურთიერთობებში;

კ) საფოსტო საგადახდო ნიშნების დიზაინის/ანაბეჭდის, მათ შორის საფოსტო მარკების ნომინალის და ტირაჟის დამტკიცება და საფოსტო მარკების მიმოქცევაში გაშვება და მიმოქცევიდან ამოღება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

ლ) ფოსტის სფეროში არსებული სტანდარტების ჰარმონიზების ხელშეწყობა;

მ) საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების შესახებ დებულების შემუშავება და დამტკიცება;

ნ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრების ჩამონათვალის დამტკიცება;

ო) დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშნვა;

პ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

2. სამინისტრო ფოსტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 24. კომისიის ფუნქციები

1. კომისიის ფუნქციები ფოსტის სფეროში:

ა) საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად უფლებამოსილებების დამოუკიდებლად განხორციელება;

ბ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ) საფოსტო ოპერატორების მარტივი რეგისტრაცია უწყებრივ რეესტრში და უწყებრივი რეესტრის წარმოება;

დ) დანიშნული ოპერატორის რეგულირების საფასურის ოდენობის, გადახდის წესისა და გადახდის პერიოდულობის დადგენა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნული საფოსტო ოპერატორის რეგულირება უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებში და საქმიანობის საქართველოს კანონმდებლასთან შესაბამისობის მონიტორინგი, კონტროლი, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრება;

ვ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის ხარჯთაღრიცხვის განცალკევებულად აღრიცხვის, დანახარჯების განაწილების და თვითღირებულების, უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება;

ზ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების გამოთვლის მეთოდოლოგიასთან უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების შესაბამისობის შემოწმება;

თ) უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავების განხილვა და გადაწყვეტა;

ი) უნივერსალურ საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

კ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ განსაზღვრული უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფების დამტკიცება;

ლ) დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ფოსტის სფეროში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

მ) დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;

ო) კომისია, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენ ყოველწლიურ ანგარიშში ასახავს უნივერსალური საფოსტო მომსახურების და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ ინფორმაციას;

პ) ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენა და აღნიშნული ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა;

ჟ) ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საფოსტო ოპერატორების მიერ, დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხარჯის დაფინანსების ოდენობის, წესისა და პირობების დადგენა;

რ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. კომისია ფოსტის სფეროში გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ამ კანონის შესაბამისად მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

თავი VII. მარტივი რეგისტრაცია და რეგულირების საფასური

მუხლი 25. საფოსტო ოპერატორების მარტივი რეგისტრაცია

1. საფოსტო ოპერატორი ვალდებულია მარტივი რეგისტრაცია გაიაროს კომისიის უწყებრივ რეესტრში.

2. კომისიის უწყებრივ რეესტრში მარტივი რეგისტრაციის წესი და პირობები დგინდება კომისიის მიერ.

3. საფოსტო ოპერატორების მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დაუცველად საქმიანობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კომისია უზრუნველყოფს საფოსტო ოპერატორების უწყებრივი რეესტრის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, ამ მიზნით იგი ვალდებულია საფოსტო ოპერატორების უწყებრივი რეესტრი განათავსოს თავის ვებ-გვერდზე.

მუხლი 26. რეგულირების საფასური

1. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთი წყარო, რომელიც დაკავშირებულია ამ კანონით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან. რეგულირების ყოველწლიური საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. რეგულირების საფასურის გადამხდელია მხოლოდ დანიშნული საფოსტო ოპერატორი.
2. რეგულირების საფასურის ოდენობა შეადგენს საანგარიშო წლის პერიოდში გაწეული რეგულირებას დაქვემდებარებული მომსახურების მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.75 პროცენტს.
3. რეგულირების საფასურის ოდენობა, გადახდის წესი და გადახდის პერიოდულობა დგინდება კომისიის შესაბამისი ნორმატიული სამართლებრივი აქტით.
4. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ვალდებულია კომისიის ნორმატიული აქტით დამტკიცებული ფორმით და პერიოდულობით წარუდგინოს კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოს რეგულირების საფასური.

თავი VIII. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მონიტორინგი, კონტროლი და პასუხისმგებლობა

მუხლი 27. მონიტორინგი და კონტროლი

1. უნივერსალურ საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად და შედეგს თავის ვებ გვერდზე კომისია აქვეყნებს ყოველწლიურად.
2. უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის ამ კანონის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის დროს, კომისიას უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამ კანონით და კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებასთან.
3. კომისია იღებს შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას, რაშიც მითითებული უნდა იყოს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. შემოწმების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
4. თუკი შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დარღვეულია ამ კანონის და კომისიის დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნები და ვალდებულებები,

შემოწმების ანგარიშის საფუძველზე კომისია მიიღებს შესაბამის ზომებს დამრღვევისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

5. საფოსტო ფულადი გზავნილის მიღებასა და გაგზავნასთან დაკავშირებით სახელმწიფო მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28. დანიშნული საფოსტო ოპერატორის პასუხისმგებლობა

დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ამ კანონის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, კომისია დამრღვევს აძლევს წერილობით გაფრთხილებას, და დადგენილ ვადაში დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი კომისია დანიშნულ საფოსტო ოპერატორს დააკისრებს ჯარიმას, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დანიშნული საფოსტო ოპერატორის ბოლო საანგარიშო წლის უნივერსალური მომსახურების შემოსავლის („საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0.75 პროცენტს.

მუხლი 29. სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

1. დანიშნული საფოსტო ოპერატორის გაფრთხილებისა და/ან დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.
2. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
3. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო კომისიის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე.
4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე, თუ დაადგენს, რომ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი.

თავი IX. დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის წარმოშობილი დავების განხილვის წესი და მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა

მუხლი 30. მომხმარებელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა

ფოსტის სფეროში მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს კომისიასთან მოქმედი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებელი, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ფოსტის

სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს კომისია ნორმატიული აქტით.

მუხლი 31. დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავის განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი დებულებანი

1. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს და მომხმარებელს შორის დავას განიხილავს კომისია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დანიშნულ საფოსტო ოპერატორს და მომხმარებელს შორის დავას კომისია წყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს კომისიას დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.
4. დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესს ადგენს კომისია.

თავი X. საფოსტო ქსელის მართვა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს

მუხლი 32. საფოსტო ქსელის მართვა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს

1. საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობისას, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, სამინისტრო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით კოორდინაცია გაუწიოს საქართველოში რეგისტრებული საფოსტო ოპერატორების ქსელებს და ობიექტებს.
2. საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, სარგებლობენ ყველა სახის საფოსტო მომსახურების პრიორიტეტული გამოყენების უფლებით.

თავი XI. საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნები

მუხლი 33. საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნები

1. საქართველოს საფოსტო მარკა წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის გამოხატულებას და მხოლოდ დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ გაწეული საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებას. დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ გაწეული საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებას წარმოადგენს ასევე ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი და საერთაშორისო საპასუხო კუპონი.

2. საქართველოს საფოსტო მარკა ასევე გამოიყენება ფილატელისტური (საკოლექციო) მიზნებისთვის.
3. საქართველოს საფოსტო მარკაზე სულ მცირე დატანილია შემდეგი წარწერები: ქვეყნის დასახელება ქართული ასოებით, გამოცემის წელი და ნომინალური ღირებულება ლარში.
4. საქართველოს საფოსტო მარკა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციითა და აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. საქართველოს საფოსტო მარკის მიმოქცევაში გაშვება, მიმოქცევიდან ამოღება და საკოლექციო კატეგორიაში გადაცემა რეგულირდება სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
6. სამინისტრო შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს საფოსტო მარკის გამოცემის თემატურ გეგმას, რომლის მიხედვითაც, დანიშნული საფოსტო ოპერატორი შეიმუშავებს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს საფოსტო მარკის დიზაინს, რის შემდგომ უზრუნველყოფს დამტკიცებული საქართველოს საფოსტო მარკის დაბეჭდვას, საფოსტო მომსახურების მიზნებისთვის გამოყენებას და რეალიზაციას.
7. საქართველოს საფოსტო მარკა ტიპოგრაფიული სახით შესაძლოა დატანილი იქნეს კონვერტზე და საფოსტო ბარათზე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მიიჩნევა მარკირებულ კონვერტად და მარკირებულ საფოსტო ბარათად.
8. დაუშვებელია სხვა ქვეყნის მიერ გამოცემული და/ან მიმოქცევიდან ამოღებული საფოსტო მარკის გამოყენება საფოსტო გზაწილის გაგზავნის მიზნით.
9. ყალბი საფოსტო საგადახდო ნიშნების დამზადება და/ან გაყიდვა ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10. დანიშნული საფოსტო ოპერატორი ფრანკირების მანქანის ანაბეჭდს დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.
11. საფოსტო ოპერატორი უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოიყენოს მისთვის მისაღები საფოსტო საგადახდო ნიშანი, გარდა სამინისტროს მიერ დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის დამტკიცებული საფოსტო საგადახდო ნიშნისა.

თავი XII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 34. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საფოსტო ოპერატორი ვალდებულია მარტივი რეგისტრაცია გაიაროს კომისიაში.

2. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია კონკურსის გარეშე, არაუმეტეს 3 წლის ვადით დანიშნოს დანიშნული საფოსტო ოპერატორი.

3. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება;

4. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 წლის ვადაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს დანიშნული საფოსტო ოპერატორის დანიშვნისათვის ღია კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების მიღება.

5. ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 წლის ვადაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების წყაროს განსაზღვრა.

6. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობა ადგენს ამ კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურების წესს.

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს:

ა) საქართველოს საფოსტო წესების მიღება;

ბ) საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცება;

8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივად, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებრად წარუდგინოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას გადაადგილების წესი.

9. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ:

ა) შეიმუშაოს და მიიღოს ხარჯთაღრიცხვის განცალკევებულად აღრიცხვის, დანახარჯების განაწილების და თვითღირებულების, უნივერსალური საფოსტო მომსახურების ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ევროპის პარლამენტის და საბჭოს შესაბამის დირექტივებში გათვალისწინებული უნივერსალური საფოსტო მომსახურებების ხარჯების განაწილების წესების შესაბამისად;

ბ) დაადგინოს რეგულირების საფასურის გადახდის წესი და პერიოდულობა.

გ) მიიღოს დანიშნულ საფოსტო ოპერატორსა და მომხმარებელს შორის დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესი.

დ) უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

10. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში კომისიამ მიიღოს უწყებრივი რეესტრის წარმოებისა და მარტივი რეგისტრაციის წესი;

11. დანიშნულმა საფოსტო ოპერატორმა დანიშნიდან 1 წლის ვადაში დაამტკიცოს საფოსტო ინდექსების სისტემა.

მუხლი 35. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი